საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ უცხოური საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობა-აღსრულებისას საარბიტრაჟო შეთანხმების ბათილობისა და მის ფარგლებს გადაცილების განმარტების ანალიზი

ლუკა კოდუა

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სამართლის სკოლის კერძო (ბიზნეს) სამართლის პროგრამის ფარგლებში

კერძო (ბიზნეს) სამართლის მაგისტრის აკადემიური ხარისხის

მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

კერძო (ბიზნეს) სამართალი

სამეცნიერო ხელმძღვანელი: უჩა ძიმისტარიშვილი

სამართლის სკოლის მოწვეული ლექტორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2021

განაცხადი:

როგორც წარდგენილი სადისერტაციო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

ლუკა კოდუა

30 იანვარი 2020

აბსტრაქტი

კაცობრიობის განვითარებასთან ერთად, შეუქცევადი გლობალიზაციის პირობებში, საერთაშორისო სამართლის სუბიექტები ილტვიან შექმნან ჰარმონიული საერთაშორისო მართლწესრიგი, იმისათვის, რომ კანონის უზენაესობისა და უფლებათა და თავისუფლებათა რეალიზების თითეული სამართლებრივი მექანიზმი უპასუხებდეს ცივილიზაციის მოთხოვნებს. ამ მხრივ არც საერთაშორისო არბიტრაჟია გამონაკლისი. გაეროს მოდელურ კანონთან ერთად, რომელიც უშუალოდ არბიტრაჟის მექანიზმის დახვეწასა და ჰარმონიზებას ემსახურება, საერთაშორისო სამართლის ექსპერტთა უდიდესი მონაპოვარია ნიუ იორკის კონვენცია, რომელმაც სულ რაღაც 3 დეკადაში წარმატებით ჩაანაცვლა 1923 წლის ჟენევის ოქმი და 1927 წლის ჟენევის კონვენცია, რომლებიც სწორედ საერთაშორისო საარბიტრაჟო გადაწყვეტილებების აღსრულების მექანიზმის შექმნის პირველ მცდელობას წარმოადგენდნენ. აღსანიშნავია, რომ ამოქმედების დღიდან ამ დრომდე ნიუ იორკის კონვენცია ეფექტურად ასრულებს თავის ფუნქციას. თავისი არსით იგი მიზნად ისახავს შექნას არბიტრაჟის გადაწყვეტილებათა აღსრულების საერთაშორისო გარანტიები, რაც არბიტრაჟის სრულყოფილი ფუნქციონირებისთვის უმნიშვნელოვანესი პირობაა. საქართველო, როგორც კონვენციის ხელშემკვრელი მხარე სრულყოფილად სარგებლობს კონვენციის მექანიზმებით და იზიარებს მის სულისკვეთებას. შესაბამისად, საქართველო იღებს ვალდებულებას უზრუნველყოს კონვენციის პირობების შესრულება.

ნაშრომის მიზანია, განიხილოს საქართველოს უზენაესი სასამართლოს პრაქტიკა უცხოური საარბიტრაჟო გადაწყვეტილებების ცნობა-აღსრულებისას საარბიტრაჟო შეთანხმების ბათილობასა და მის ფარგლებს გადაცილებასთან დაკავშირებით, შეაფასოს თუ რამდენად შეესაბამება დამკვიდრებული მიდგომა საერთაშორისოდ მიღებულ საუკეთესო პრაქტიკას, გამოავლინოს ხარვეზები და იმსჯელოს შესაბამის რეკომენდაციებზე. ამასთან დაკავშირებით, ნაშრომი მიმოიხილავს ნიუ იორკის

კონვენციასა და სხვა საერთაშორისო ინსტრუმენტებს, საქართველოს კანონმდებლობას, აანალიზებს შესაბამის პრაქტიკას. აღნიშნულზე დაყრდნობით, ნაშრომში მოცემულია რეკომენდაციები საქართველოშო სასამართლო პრაქტიკის შემდგომ განვითარებასთან დაკავშირებით, რამაც უნდა უზრუნველყოს საერთაშორისო არბიტრაჟის ინსტიტუტის გამყარება ქვეყანაში და, ნიუ იორკის კონვენციის მიზნებიდან გამომდინარე, არბიტრაჟის გადაწყვეტილებათა ცნობა-აღსრულების არსებულთან შედარებით უფრო მაღალეფექტური სტანდარტი.

Abstract

Along with the evolution of mankind, in the light of irreversible globalization, subjects of international law aim at creation of harmonized international law order, so as to ensure that each and every mechanism of realization of Rule of Law and Rights and Liberties meet the requirements of the civilization. The International Arbitration is no exception in this regard. In correlation with the Model Law of the UN, which explicitly serves the development and harmonization of the Arbitration mechanism, the New York Convention is a top ranking achievement of international law experts, having successfully substituted the 1923 Geneva Protocol and 1927 Geneva Convention – 2 international acts, considered to be the first attempts of developing the enforcement mechanism for International Arbitration awards. It is noteworthy, that from the day of its enactment, the New York Convention effectively executes its function. Per se, the convention targets the creation of international guarantees of enforceability of arbitration awards, which is the upmost important condition for the proper functioning of arbitration. Georgia, as a signatory to the convention enjoys full benefits of the Convention's mechanisms and shares its determination.

The purpose of the forgoing work is to review Georgia's Supreme Court practice with regards to the notions of invalidity and excess of the Arbitration Agreement in the light of deciding on the recognition and enforcement of foreign international arbitration awards. The idea is to evaluate, to what extent the established approach corresponds with the internationally accepted best practice, to reveal deficiencies and discuss relevant recommendations. In this respect, this work examines the New York Convention and other international instruments, surveys the legislation of Georgia and the relevant case law. Based on the above, present work provides recommendations with regard to further development of the Court practice in Georgia, which shall ensure the reinforcement of the institute of international arbitration in the country and, for the purposes of the New York Convention, set higher effective standard of recognition and enforcement of arbitration awards.